სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

_____ **კახაბერ კირტავა**

03. 05. 2017 წელი

ეგზ. N1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N 21/36
2016 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ზოგადი ინფორმაცია 3

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ 4

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 4

აუდიტორის პასუხისმგებლობა 4

პირობითი მოსაზრების საფუძველები 5

დებიტორული ვალდებულებები 5

საამორტიზაციო ანარიცხები 5

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ 6

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა 6

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა/ორსულებში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიები 6

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა. 8

სამივლინებო ანაზღაურება ქვეყნის შიგნით 9

სახელმწიფო შესყიდვები 9

ადამიანური რესურსების მართვა 10

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები 11

ზოგადი ინფორმაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო არის ერთმმართველობის პრინციპზე დაფუძნებული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება და შედის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

სამინისტროს გააჩნია ცენტრალური აპარატი, რომელიც მოიცავს დეპარტამენტებს და განყოფილებებს. 2016 წლის პერიოდში, აპარატის რიცხოვნობა განსაზღვრულია 63 (სამოცდასამი) საშტატო ერთეულით.

საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს წარმოადგენს რეგიონში ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს განვითარება და ხელშეწყობა, მათ შორის: ა) ავტონომიურ რესპუბლიკაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, დასაქმების, დევნილთა და განსახლების სფეროში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება; ბ) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა, დაავადებათა და მართვად ინფექციათა მიმართულებით პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება; გ) ცხოვრების ჯანსაღი წესის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა; დ) მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა.

სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო.

სამინისტროს 2016 წლის დამტკიცებულმა ბიუჯეტმა (პირველადი, ნაერთი) შეადგინა 14 057.0 ათასი ლარი, დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 14 599.0 ათასი ლარი, ხოლო გადახდამ (საკასო ხარჯმა) 14 422.0 ათასი ლარი.

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა (საკასო ხარჯი)	დაზუსტებული გეგმის შესრულება (%)
ხარჯები	**12 332**	**12 189**	**98.8**
შრომის ანაზღაურება	1 338	1 338	100
საქონელი და მომსახურება	257.0	241.0	93.7
სოციალური უზრუნველყოფა	8 312	8 202	98.6
სხვა ხარჯები	2 424	2 406	99.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	**321.0**	**316.0**	**98.4**
ვალდებულებების კლება	**0.03**	**0.03**	**100**
სულ დაფინანსება	**12 653**	**12 505**	**98.8**

ცხრილი N1. სამინისტროს აპარატის ბიუჯეტის შესრულება (თანხა ათას ლარებში).

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროსა და მის კონტროლს დაქვემდებარებულ დაწესებულებების ბალანსებს, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, ასევე საქმიანობისა და ფინანსური სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

დებიტორული ვალდებულებები

გარემოება

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების ბალანსის ფორმა N1-მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ფიქსირდება 10.6 ათასი ლარის კრედიტორული ვალდებულებები. თუმცა შინაარსობრივად, აღნიშნული ოპერაცია წარმოადგენს, კომპიუტერებისთვის Microsoft Windows-ის ლიცენზიების შესყიდვის მიზნით, 2015 წლის ბოლოს მიმწოდებლისთვის გადახდილ ავანსს. შესაბამისად, ნაცვლად კრედიტორული ვალდებულებისა, აღნიშნული ოპერაცია წარმოადგენს დებიტორულ მოთხოვნას, რაც არასწორად[1] იქნა აღრიცხული.

გავლენა

სამინისტროს ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გაზრდილად არის წარმოდგენილი კრედიტორული და შემცირებულად დებიტორული ვალდებულებები 10.6 ათასი ლარის ოდენობით.

საამორტიზაციო ანარიცხები

გარემოება

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ, აუდიტის პერიოდში შეძენილი იქნა სამი ერთეული მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალება, სულ 146.0 ათასი ლარის ოდენობით, კომპიუტერებისთვის Microsoft Windows-ის ლიცენზიები, სულ 50.0 ათასი ლარის ოდენობით, ასევე სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის

[1]საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ “ N 1321 ბრძანების თავი მე-3, ფინანსური აქტივები.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ცენტრზე გადაცემული იქნა ხუთი ერთეული ბინოკულარული მიკროსკოპი, საწყისი საბალანსო ღირებულებით 8.5 ათასი ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0.5 ათასი ლარი. ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, მოქმედი მარეგულირებელი ნორმების დაუცველად,[2] სრული კალენდარული წლისთვის არ იქნა დარიცხული ცვეთა 21.7 ათასი ლარის ოდენობით.

გავლენა

სამინისტროს ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში, შემცირებულად არის დარიცხული საამორტიზაციო ანარიცხები და გაზრდილად არის წარმოდგენილი აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულება 21.7 ათასი ლარის ოდენობით.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის ან შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სამინისტროს საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა/ორსულებში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიები

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს მიზნობრივ პროგრამას ,,დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა''. აღნიშნული მოიცავს, 0-დან 200.0 ათასამდე სარეიტინგო ქულის მქონე ორსულებში, ფარისებლი ჯირკვლის გამოკვლევებს პათოლოგიებზე, ჰორმონალურ (თირესტროპული ჰორმონი, თავისუფალი თიროქსინი) გამოკვლევებს და ენდოკრინოლოგის კონსულტაციას. პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციარებს წარმოადგენენ პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ცენტრის მიერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი[3] შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 115.0 ათასი ლარი. ვაჭრობაში მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი, სადაც გაიმარჯვა უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტმა და გაუფორმდა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება, ღირებულებით 46.9 ათასი ლარი. ხელშეკრულების[4] ფარგლებში მიმწოდებელს, 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით უნდა

[2]დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე N439 ბრძანების მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის მოთხოვნები.

[3] SPA160000159

[4]სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N03-01/28 ე.ტ. 22.02.2016წ. მიმწოდებელი შპს ,,ქირურგიული კლინიკა SALVE''.

განეხორციელებინა არანაკლებ 1 700 ბენეფიციარის გამოკვლევა. აუდიტის პერიოდში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შემსრულებელმა უზრუნველყო 1331 ბენეფიციარის გამოკვლევა და სულ გაწეული იქნა 31.2 ათასი ლარის საკასო ხარჯი. შესაბამისად, შეუსრულებელი დარჩა 369 ბენეფიციარის გამოკვლევა. შემსყიდველის მიერ, ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებელზე დაკისრებული იქნა შესაბამისი პირგასამტეხლო 2.3 ათასი ლარის ოდენობით[5]. მიმწოდებლის ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, რომელიც გამოიწვევდა სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებულ შავ სიაში დარეგისტრირებას, შემსრულებელმა დარჩენილი 369 პირის მომსახურების შესრულება ცენტრში წარადგინა 2016 წლის 30 დეკემბერს, რომელიც არ იქნა ჩაბარებული, ვინაიდან შემსყიდველის განცხადებით[6], შესრულებული სამუშაო საჭიროებდა პირველ რიგში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მეშვეობით, თითოეული ბენეფიციარის სარეიტინგო ქულისა და საცხოვრებელი ადგილის გადამოწმებას, რაც საანგარიშო წლის ბოლოს, რამოდენიმე დღეში ვერ მოხერხდებოდა. ასევე ხაზინის მეშვეობით ფინანსური გადარიცხვები დაბრკოლებული იყო.

მიმწოდებლის მიერ შესრულებლი სამუშაოების რეალობასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით[7], შესაძლებელი გახდა გადამოწმებულიყო მიმწოდებლის მიერ აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით შესრულებული სამუშაოები[8], სადაც ყოველ დოკუმენტზე ფიქსირდება ბენეფიციარის ხელმოწერა და ,,დიაგნოზი“, თუმცა განხორციელებული გადამოწმების შედეგად იდენტიფიცირებულია, რომ სულ დაუსაბუთებელია 379 მომსახურების მიღება, საერთო ღირებულებით 8.9 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ბენეფიციართა გამოკითხვის შედეგები შეუსაბამოა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოების დოკუმენტაციასთან, რითაც შესაძლოა მიმწოდებელმა დაუსაბუთებლად მიიღო სულ 379 ბენეფიციარის[9] მომსახურების ღირებულების თანხა 8.9 ათასი ლარის ოდენობით და

---

[5]შემსყიდველის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, პირგასამტეხლო მიმწოდებელს არ აქვს გადახდილი და მზადდება შესაბამისი დოკუმენტაცია, თანხის ამოღების მიზნით, სასარჩელო წარმოებისთვის.

[6] სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ცნობა.

[7]საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 04.08.2016 წ. N04/59827 წერილი, 2016 წლის 1 იანვრიდან რეგისტრირებულ ორსულთა შესახებ ინფორმაცია, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-და 200 000-მდე სარეიტინგო ქულას.

[8]სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ქვეპროგრამის - ,,დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა'', მუდმივმოქმედი მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელებული სატელეფონო/წერილობითი გამოკითხვა, სადაც ასევე მონაწილეობდა აუდიტის ჯგუფის უფროსი.

[9]210 ბენეფიციარი, რომლებმაც არ დაადასტურეს მომსახურების მიღება და 169 შემთხვევა, მომსახურების, რომლებიც განმეორებით, რამოდენიმეჯერ იქნა წარდგენილი მიმწოდებლის მიერ. ასევე ბენეფიციართა მნიშვნელოვან ნაწილთან, არანაკლებ 426 ბენეფიციართან, ვერ მოხერხდა დაკავშირება და ინფორმაციის მიღება, რომლებზეც გაწეული მომსახურების რეალობა მაღალ რისკებს წარმოშობს.

წარმოშობს რისკებს, ბენეფიციართა ხელმოწერებისა და დასმული ,,დიაგნოზების'' ნამდვილობასთან დაკავშირებით.

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს ქვეპროგრამას - ,,ეკომიგრანტთა ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა'', რომლის ბიუჯეტიც შეადგენს 3 000.0 ათას ლარს. აღნიშნული პროგრამის მიზანია, პირები რომლებიც განაგრძობენ ცხოვრებას სტიქიური კატასტროფის ზონაში, სადაც მათ ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, უზრუნველყოფილნი იქნენ უსაფრთხო საცხოვრისით. პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ ეკომიგრანტები, რომლებიც 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და შესაბამისი შუამდგომლობით წარადგენს მუნიციპალიტეტი. პროგრამაში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს შესაბამისი კომისია, დადგენილი წესის მიხედვით. პროგრამაში ბენეფიციართა ჩართვა ასევე ხორციელდება ეკომიგრანტთა მონაცემთა მუდმივად განახლებად ერთიან ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებულ პირების, პრიორიტეტული ქულების მიხედვით. პროგრამაში ჩართვის შემდგომ ბენეფიციარს მიეცემა 30 კალენდარული დღე, საქართველოს ტერიტორიაზე, საცხოვრებელი ფართის შერჩევისათვის, რომელსაც შემდგომში უტარდება ექსპერტიზა, შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობისა და საბაზრო ღირებულების განსაზღვრის შესახებ. კომისია, დაფინანსების დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, იხდის ქონების საბაზრო ღირებულების თანხას, მაგრამ არაუმეტეს 25.0 ათასი ლარისა. აუდიტის პერიოდში სულ დაფინანსდა ქედის, შუახევის, ხულოსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებიდან 96 ოჯახი, სულ, ექსპერტიზის მომსახურების ჩათვლით, გაწეული იქნა 2 403.0 ათასი ლარის ხარჯი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ბენეფიციარები, საცხოვრებელი ფართის შესყიდვის მიზნით, სამინისტროს (მუნიციპალიტეტის შუამდგომლობით) შესაბამისი მოთხოვნით მიმართავს პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით, თუმცა რიგ შემთხვევებში, შესყიდული ალტერნატიული ქონება გაცილებით მცირეა იმ პირთა რაოდენობასთან მიმართებით, რომლებიც ფიზიკურად უნდა განთავსდნენ აღნიშნულ საცხოვრისში, ასევე ნაწილი ბენეფიციარებისა განაგრძობს ცხოვრობას სტიქიური კატასტროფის ზონაში, სადაც მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

მაგალითისათვის: აუდიტის პერიოდში, შუახევის მუნიციპალიტეტიდან, თექვსმეტსულიანი ოჯახისთვის შესყიდული იქნა ქ. ბათუმში, კომახიძის ქუჩა N117-ში, 29.29 კვ.მ საცხოვრებელი ფართი (ბინა); ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან ექვსსულიანი ოჯახისთვის შესყიდული იქნა ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N140 გ-ში, 33.58 კვ.მ საცხოვრებელი ფართი (ბინა); ხულოს მუნიციპალიტეტიდან, ექვსსულიანი ოჯახისთვის, შესყიდული იქნა ქ. ბათუმში, სვიშევსკის ქუჩა N211-ში, 38.39 კვ.მ საცხოვრებელი ფართი (ბინა); ქედის მუნიციპალიტეტიდან, ათსულიანი ოჯახისთვის, შესყიდული იქნა ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N64-ში, 55.12 კვ.მ საცხოვრებელი ფართი (ბინა).

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტებმა დამატებით, პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებთან, გააფორმეს რიგ შემთხვევებში მემორანდუმი, ხოლო რიგ შემთხვევებში შეთანხმება, რომ ისინი მოახდენდნენ სტიქიური პროცესების განვითარების

ზონაში მდებარე საცხოვრებელი სახლების დემონტაჟს, არ აწარმოებდნენ სხვა ტიპის სამუშაოებს მიწაზე და ა.შ.

აუდიტის ჯგუფის მიერ, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული იქნა ინფორმაციები, 2016 წელს პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა შესახებ, რომლებმაც მიიღეს შესაბამისი დაფინანსება, იყენებდნენ თუ არა სტიქიური პროცესების განვითარების ზონაში მდებარე საცხოვრებელ სახლებს მუდმივ საცხოვრებლად, ხომ არ მოხდა მათი გასხვისება, გაქირავება ან დემონტაჟი. ქედისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები არ იყენებენ აღნიშნულ ქონებას. ხულოს მუნიციპალიტეტის ინფორმაციის მიხედვით, 12 ოჯახი კვლავ ცხოვრობს იმავე სახლში, ხოლო შუახევის მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, 39 ოჯახი კვლავ ძველ საცხოვრებელ სახლებში ცხოვრობს. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, პროგრამა და შესაბამისი შესრულების წესი არ მოიცავს ბენეფიციართა შესაბამისი და გონივრულად საკმარისი ფართებით დაკმაყოფილების უზრუნველყოფის კომპონენტს (რეგულაციას), ასევე რიგ შემთხვევებში ოჯახები კვლავ სარგებლობენ სტიქიური განვითარების ზონაში არსებული საცხოვრისებით, რაც წარმოშობს რისკებს, რომ სრულყოფილად ვერ ხდება ბენეფიციართა სიცოცხლის რისკების დაზღვევა და მათთვის უსაფრთხო საცხოვრისით უზრუნველყოფა.

სამივლინებო ანაზღაურება ქვეყნის შიგნით.

ქვეყნის შიგნით მივლინების ფარგლებში, მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით[10], სამ შემთხვევაში სამინისტროს თანამშრომელი მივლინებული იყო ქ. თბილისში, სამუშაო შეხვედრებზე, სადაც ანაზღაურებული აქვს სამივლინებო დღიური, ღამისთევის და მგზავრობის ხარჯები. წარმოდგენილი ფაქტობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიხედვით, 0.4 ათასი ლარის ღირებულების ღამისთევის ანგარიშსწორების დოკუმენტები, ფისკალური სალარო აპარატის ამონაწერის (ჩეკი) მიხედვით, 2-3 დღით სცილდება სამივლინებო პერიოდს. მაგალითად, სამივლინებო პერიოდი მოიცავდა 30 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით პერიოდს, ხოლო გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი დათარიღებულია 3 აპრილით.[11]

სახელმწიფო შესყიდვები

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ, გამარტივებული შესყიდვის ფორმით, შესყიდულია ორი ღონისძიების ორგანიზება ღირებულებით 4.4 ათასი ლარი და 1.0 ათასი ლარის საოფისე მომსახურება, თუმცა ხელშეკრულებებით, ასევე მიღება-ჩაბარების აქტებით, არ არის განსაზღვრული თუ კონკრეტულად რას მოიცავს აღნიშნული მომსახურებები, რამდენ პირზეა გათვლილი, სად

[10]აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებები: 20.04.2016 წლის N16/74; 18.05.2016 წლის N16/92; 30.03.2016 წლის N16/61.

[11]ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, ქ. თბილისში მივლინებასთან დაკავშირებით, გამოიყო 100 ლიტრი საწვავი. საწვავის ჩასხმის მიხედვით, შპს ,,რომპეტროლ საქართველოს'' ოფიციალური ვებგვერდის მონაცემებით, ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, სახელმწიფო ნომრით SZ737ZS (მივლინების პერიოდში გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალება), ტერიტორიულად საწვავის შევსება ფიქსირდება 30 მარტს ქ. ბათუმში, 31 მარტს ქ. თბილისში და 1 აპრილს ქ. ბათუმში. მსგავსი მონაცემებია დანარჩენ ორ სამივლინებო პერიოდშიც.

ჩატარდა ღონისძიება, ან კონკრეტულად რა საქონლის მიწოდება განხორციელდა, რაც ორგანიზაციაში შესყიდვების მართვის შიდა კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს.

ადამიანური რესურსების მართვა

2016 წელს სამინისტროს აპარატის შრომის ანაზღაურების მთლიანმა ხარჯმა შეადგინა 1 338.6 ათასი ლარი, მათ შორის თანამდებობრივი სარგო 780.4 ათასი ლარი, პრემია 154.5 ათასი ლარი და დანამატი 403.6 ათასი ლარი. აუდიტის პერიოდში, აპარატის საჯარო მოსამსახურეებზე ყოველთვიურად გაცემულია დანამატი თანამდებობრივი სარგოს 40-დან 75%-მდე ოდენობით, დაკავებული თანამდებობების შესაბამისად. დანამატის ზღვრული მოცულობები განსაზღვრულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 20 იანვრის N4 განკარგულებით. მოქმედი რეგულაციებიდან გამომდინარე, დანამატები შეიძლება გაიცეს სათანადო გარემოებების არსებობისას, დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, არაუმეტეს განსაზღვრული ზღვრული მოცულობებისა. აუდიტის ობიექტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი დანამატების გაცემის მატერიალური კანონიერების (ზეგანაკვეთური ან/და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულების) დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება.

გურამ დუმბაძე
/უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

ჰენრი სანიკიძე
/უფროსი აუდიტორი/

მიხეილ დიასამიძე
/აუდიტორ-ასისტენტი/

3 მაისი 2017 წელი.

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
	I.ფინანსური აქტივები და მოთხოვნები			
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110	0	0
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120	0	0
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	2198	2700
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220	0	0
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230	0	0
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240	0	0
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250	0	0
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260	0	0
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270	0	0
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280	0	0
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290	0	0
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310	0	0
130	მოკლევადიანი სესხები	1320	0	0
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330	0	0
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340	0	0
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351	0	0
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352	0	0
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353	0	0
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354	0	0
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355	0	0
210	გადახდილი დღგ	1356	0	0
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357	0	0
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358	0	0
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების დანაკლისებით	1359	0	0
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360	0	0
260	მოთხოვნები ბარტერით	1410	0	0
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420	0	0
280	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	0	0
290	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	0	0
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	0	0
310	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450	0	0
320	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460	0	0
330	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470	0	0

340	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	0	0
350	გრძელვადიანი სესხები	1510	0	0
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520	0	0
370	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530	0	0
380	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540	0	0
	II. არაფინანსური აქტივები		0	0
390	სტრატეგიული მარაგები	1610	0	0
400	სხვა მატერიალური მარაგები	1620	152638	265012
410	შენობა-ნაგებობები	2110	490384	485311
420	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	313690	571885
430	სხვა ძირითადი აქტივები	2130	10455	212999
440	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140	0	0
450	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	0	0
460	ფასეულობები	2300	0	0
470	არაწარმოებული აქტივები	2400	0	0
	ბალანსი		969365	1537907
კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
	I. ვალდებულებები			
480	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	0	0
490	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	865	0
500	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220	-9291	0
510	ვალდებულებები ბარტერით	3230	0	0
520	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241	0	0
530	გადასახდელი დღგ	3242	0	0
540	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243	0	0
550	სხვა გადასახდელები	3244	0	0
560	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245	0	0
570	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246	0	0
580	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251	0	0
590	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252	0	0
600	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253	30	0
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254	0	0
620	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255	0	0
630	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256	0	0
640	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257	0	0
650	გადასახდელი სტიპენდიები	3258	0	0
660	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259	0	0
670	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260	0	0
680	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270	0	0

690	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280	0	0
700	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310	0	0
710	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდბულებები	3320	0	0
720	მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331	0	0
730	აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332	0	0
740	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333	0	0
	II.კაპიტალი			
750	წმინდა ღირებულება	5100	977761	1537404
760	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210	0	502
770	გაუნაწილებელი მოგება	5220	0	0
780	დაუფარავი ზარალი*	5230	0	0
	ბალანსი		969365	1537906
	III. საცნობარო მუხლები			
790	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01	0	0
800	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02	34260	34260
810	გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03	0	0
820	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	0	0
830	პირობითი მოთხოვნები	05	0	0
840	პირობითი ვალდებულებები	06	0	0
850	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07	0	0
860	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	176430	194319
870	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	0	0
880	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	120091	147935
890	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11	0	0

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ბალანსის დანართი ფორმა #2

სტრიქონის კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	საანგარიშო პერიოდის დამტკიცებული	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	**1. ხარჯები**	**2**	**13558340**	**14026102**	**13857329**	**13857205**	**13855886**	**15621703**	1765817.2
020	**1.1 შრომის ანაზღაურება**	**21**	**2104744**	**2106747**	**2104401**	**2104401**	**2104401**	**2104401**	0
030	**1.1.1 ხელფასები**	**211**	**2104744**	**2106747**	**2104401**	**2104401**	**2104401**	**2104401**	0
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	**2104744**	**2106747**	**2104401**	**2104401**	**2104401**	**2104401**	0
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	1429884	1420148	1417872	1417872	1417872	1417872	0
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112	0	0	0	0	0	0	0
070	1.1.1.1.3 პრემია	21113	264865	282953	282883	282883	282883	282883	0
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114	409995	403646	403646	403646	403646	403646	0
090	1.1.1.1.5 ჰონორარი	21115	0	0	0	0	0	0	0
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116	0	0	0	0	0	0	0
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112	0	0	0	0	0	0	0
120	**1.1.2 სოციალური შენატანები**	**212**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	0
130	1.1.2.1. ფაქტიურად განხორციელებული სოციალური შენატანები	2121	0	0	0	0	0	0	0
140	1.1.2.2. პირობითად განხორციელებული სოციალური შენატანები	2122	0	0	0	0	0	0	0
150	**1.2 საქონელი და მომსახურება**	**22**	**436376**	**434504**	**413501.55**	**413377.55**	**412058.55**	**411674.55**	-384
160	1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	**221**	43380	41880	41880	41880	41880	41880	0
170	1.2.2 მივლინებები	**222**	31000	30970	30037	29913	29913	29913	0
180	1.2.3 ოფისის ხარჯები	**223**	166289	155425	152300	152300	152300	151916	-384
190	1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	**224**	18910	18910	18908	18908	18908	18908	0
200	1.2.5 კვების ხარჯები	**225**	0	0	0	0	0	0	0
210	1.2.6 სამედიცინო ხარჯები	**226**	0	1644	1644	1644	1644	1644	0
220	1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან	**227**	0	1800	1800	1800	1800	1800	0
	დაკავშირებული ხარჯები		0	0	0	0	0	0	
230	1.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და	**228**	112320	118545	106183	106183	104864	104864	0
	მოვლა-შენახვის ხარჯები		0	0	0	0	0	0	
240	1.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	**229**	0	0	0	0	0	0	0
250	1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	**2210**	64477	65330	60750	60750	60750	60750	0
260	**1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება**	**23**	0	0	0	0	0	120012	120011.6

270	**1.4 პროცენტი**	**24**	0	0	0	0	0	0	0
280	**1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე**	**241**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	0
290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411	0	0	0	0	0	0	0
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412	0	0	0	0	0	0	0
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413	0	0	0	0	0	0	0
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414	0	0	0	0	0	0	0
330	**1.4.2 საშინაო ვალდებულებებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა**	**242**	0	0	0	0	0	0	0
340	**1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე**	**243**	0	0	0	0	0	0	0
350	**1.5 სუბსიდიები**	**25**	0	0	0	0	0	0	0
360	**1.6 გრანტები**	**26**	0	0	0	0	0	0	0
370	**1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს**	**261**	0	0	0	0	0	0	0
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611	0	0	0	0	0	0	0
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612	0	0	0	0	0	0	0
400	**1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს**	**262**	0	0	0	0	0	0	0
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621	0	0	0	0	0	0	0
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622	0	0	0	0	0	0	0
430	**1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს**	**263**	0	0	0	0	0	0	0
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631	0	0	0	0	0	0	0
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632	0	0	0	0	0	0	0
460	**1.7 სოციალური უზრუნველყოფა**	**27**	**7346900**	**8859996**	**8733191.3**	**8733191.3**	**8733191.3**	**10379381**	1646189.6
470	**1.7.1 სოციალური დაზღვევა**	**271**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	0
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711	0	0	0	0	0	0	0
490	1.7.1.2. სასაქონლო ფორმით	2712	0	0	0	0	0	0	0
500	**1.7.2 სოციალური დახმარება**	**272**	**7346900**	**8859695**	**8732890.3**	**8732890.3**	**8732890.3**	**10379080**	1646189.6
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721	7346900	8859695	8732890	8732890	8732890	8763080	30189.6
520	1.7.2.2. სასაქონლო ფორმით	2722	0	0	0	0	0	1616000	1616000
530	**1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება**	**273**	**0**	**301**	**301**	**301**	**301**	**301**	0
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731	0	301	301	301	301	301	0
550	1.7.3.2. სასაქონლო ფორმით	2732	0	0	0	0	0	0	0
560	**1.8 სხვა ხარჯები**	**28**	**3670320**	**2624855**	**2606235**	**2606235**	**2606235**	**2606235**	0
570	**1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა**	**281**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	0
580	1.8.1.1 დივიდენდები	2811	0	0	0	0	0	0	0
590	1.8.1.2 კვაზი-კორპორაციების შემოსავლებიდან ამოღებული თანხები	2812	0	0	0	0	0	0	0
600	1.8.1.3 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სადაზღვევო	2813	0	0	0	0	0	0	0
	პოლისის მფლობელებზე ვრცელდება		0	0	0	0	0	0	0

610	1.8.1.4 რენტა	2814	0	0	0	0	0	0	0
620	**1.8.2 სხვადასხვა ხარჯები**	**282**	**3670320**	**2624855**	**2606235**	**2606235**	**2606235**	**2606235**	0
630	1.8.2.1 მიმდინარე	2821	670320	204255	203176	203176	203176	203176	0
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822	3000000	2420600	2403059	2403059	2403059	2403059	0

მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ				
მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ თ ა დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ბიუჯეტით		ბიუჯეტგარეშე	
	გეგმით	ფაქტიურად*	გეგმით	ფაქტიურად*
1. შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა	131	131	0	0
2. შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	5	5	2	2

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებით საკასო ოპერაციების შესახებ

ბალანსის დანართი ფორმა №2-2

სტრიქონიკ კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	**1. ფინანსური აქტივები**	**32**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
190	**2. ვალდებულებები**	**33**	**0**	**1349**	**1349**	**1349**	**1349**
200	**2.1 საშინაო**	**331**	**0**	**1349**	**1349**	**1349**	**1349**
270	2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3318	**0**	**1349**	**1349**	**1349**	**1349**

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ბალანსის დანართი ფორმა №3

ანგარიშის№	დებეტი	თანხა	ანგარიშის№	კრედიტი	თანხა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	0		ნაშთი წლის დასაწყისისათვის	977760.92
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	2104400.71	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	14422300.99
7200	საქონელი და მომსახურება	411674.55	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	0
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	120011.6	6000	შემოსავლები	1759044.6
7310	მ.შ. ფიზიკური ცვეთა	120011.6	6300	მ.შ. გრანტები	1759044.6
7400	პროცენტი	0		სასაქონლო ფორმით	0
7500	სუბსიდიები	0		ფინანსური აქტივები	0
7600	გრანტები	0			0
7700	სოციალური უზრუნველყოფა	10379380.88			0
7800	სხვა ხარჯები	2606235			0
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	0	8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	0
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით *	0			0
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *	0			0
	სადებეტო ბრუნვა	15621702.74		საკრედიტო ბრუნვა	*16181346*
	სულ ჯამი:**	15621702.74		სულ ჯამი:***	*17159107*
	ნაშთი პერიოდის ბოლოს			ნაშთი პერიოდის ბოლოს	*1537404*

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

ბალანსის დანართი ფორმა №5

			მ ი ღ ე ბ ა	გ ა ს ვ ლ ა	

	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	ბარტერით	არასაპერსონალურ შემოსავლებით	გრანტებით	*სხვა მიღებები	გაყიდვით	სოციალური დახმარებებით	დანაკლისით	სხვა ხარჯებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	*სხვა გასვლები	ნაშთი წლის(პერიოდისთვის) ბოლოს
010	**1. მატერიალური მარაგები**	**152638**	**0**	**187550**	**0**	**0**	**1759045**	**0**	**0**	**1721866**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**112355**	**0**	**265012**
020	1.1. სტრატეგიული მარაგები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
030	1.2. სხვა მატერიალური მარაგები	**152638**	**0**	**187550**	**0**	**0**	**1759045**	**0**	**0**	**1721866**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**112355**	**0**	**265012**
040	1.2.1. ნედლეული და მასალები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
050	1.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
060	1.2.3 მზა პროდუქცია	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
070	1.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
080	1.2.5 ფულადი დოკუმენტები	2238	0	6339	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	7673	0	904
090	1.2.6 სათადარიგო ნაწილები	0	0	4488	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	4488	0	0
100	1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	150400	0	176724	0	0	1759045	0	0	1721866	0	0	0	0	0	100194	0	264108
110	**2. ძირითადი აქტივები**	**814529**	**10610**	**565066**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**120012**	**0**	**0**	**1270194**
120	**2.1 შენობა-ნაგებობები**	**490384**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**5073**	**0**	**0**	**485311**
130	2.1.1 საცხოვრებელი შენობები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0

140	2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	490384	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	5073	0	0	485311
150	2.1.3 საგზაო მაგისტრალები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
160	2.1.4 ქუჩები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
170	2.1.5 გზები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
180	2.1.6 ხიდები																	0
190	2.1.7 გვირაბები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
200	2.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
210	2.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
220	2.1.10 მილსადენები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
230	2.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
240	**2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი**	**313690**	**0**	**353271**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**95077**	**0**	**0**	**571884**
250	2.2.1სატრანსპორტო საშუალებები	121347	0	346000	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	59463	0	0	407883
260	2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	192343	0	7271	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	35614	0	0	164001
270	**2.3 სხვა ძირითადი აქტივები**	**10455**	**10610**	**211795**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**19861**	**0**	**0**	**212999**
280	2.3.1 კულტივირებული აქტივები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
290	2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	10455	10610	211795	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	19861	0	0	212999
300	**2.4 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი**	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	**0**

310	**3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები**	0	0	22009	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	22009	0	0
320	**4. ფასეულობები**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
330	4.1. ძვირფასი ქვები და ლითონები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
340	4.2. ხელოვნების ნიმუშები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
350	4.3. სხვა ფასეულობები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
360	**5. არაწარმოებული აქტივები**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
370	5.1 მიწა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
380	5.2 წიაღისეული	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
390	5.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**
400	5.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
410	5.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
420	5.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები					
დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდში მიღება		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)	საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)
		შეძენა	სხვა სახით მიღება		

	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ:	14	87313	12	346000	0	0	104823.1	41178	58543.18	5101.92	104652.23	41178	58372.31	5101.92
მათ შორის														
მსუბუქი	7	45664	9	200000	0	0	67272.31	20238.21	44436.18	2597.92	50068.77	20238.21	27232.64	2597.92
ჯიპები და პიკაპები	7	41649	3	146000	0	0	37550.79	20939.79	14107	2504	54583.46	20939.79	31139.67	2504